სამუშაოს აღწერილობის ფორმა

„ვამტკიცებ"

დაწესებულების ხელმძღვანელი

7.06.2021

სამუშაოს აღწერილობა

| | |
|---|---|
| დაწესებულების დასახელება | შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი" |
| დაწესებულების მისამართი | ქუთაისი, წერეთლის ქ. N13 |
| საფოსტო ინდექსი | 4600 |
| სტრუქტურული ერთეული | საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური |
| ქვესტრუქტურა[1] | |
| თანამდებობა | |
| თანამდებობის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი |
| უშუალო დაქვემდებარებაშია (თანამდებობის დასახელება) | ვიცე რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით |
| უშუალოდ დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულთა რაოდენობა | 0 |
| უშუალოდ დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა თანამდებობათა აღნიშვნით | |
| თანამშრომლის არყოფნის პერიოდში მის მოვალეობას ასრულებს | |
| სამუშაო გრაფიკი | |

| თანამდებობის მიზანი | |
|---|---|
| | |
| ფუნქციები (მოვალეობები) | პრიორიტეტულობა[2] |
| • საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება;<br>• საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება; | |

[1] არსებობის შემთხვევაში

[2] თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან, დონორებთან/ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სტუმართა დახვედრა, მარკეტინგის სამსახურთან თანამშრომლობით შესაბამისი ღონისძიების ორგანიზება და მისი ზედამხვედველობა;
- სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;
- შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, გაცვლითი პროგრამებისათვის კანდიდატების შერჩევის წესებისა და კომისიის განსაზღვრა;
- საერთაშორისო მობილობისთვის სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ორგანიზება და ზედამხვედველობა;
- კომპეტენციის ფარგლებში უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად მარკეტინგულ კამპანიაში მონაწილეობა;
- უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობი სხვადასხვა საგრანტო პროექტის წარდგენა;
- საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის წახალისებისა და საჭირო კონტაქტების დამყარებისათვის უნივერსიტეტის სხვადასხვა შესაბამის ორგანიზაციასა თუ ასოციაციაში გაწევრიანება;
- უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო მობილობასთან[3] დაკავშირებით, კომისიის შემადგენლობის რექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. ფაკულტეტების ჩართულობით, გაცვლითი პროგრამებისათვის

[3] აკადემიური პერსონალის - სწავლების, ხოლო სტუდენტის - სწავლის მიზნით, საზღვარგარეთ, გარკვეული პერიოდით, წასვლა;

| | |
|---|---|
| კანდიდატების შესარჩევი კონკურსების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩამოსული ან/და გაგზავნილი სტუდენტებისა და პერსონალისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის კონტროლი;<br>• თავისი კომპეტენციის ფარგლებში უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად მარკეტინგულ კამპანიაში მონაწილეობა. | |

| |
|---|
| დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას ურთიერთობა აქვს (შიდა და გარე)[4] |
| ანგარიშგება[5] |
| ვიცე რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით |
| |

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

| |
|---|
| |
| *აუცილებელი:* |
| • უმაღლესი განათლება, მაგისტრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებით (სასურველია დოქტორის ხარისხი);<br>• საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;<br>• განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;<br>• MS Office (Word ძალიან კარგი, Excel კარგი, PPT-ძალიან კარგი);<br>• ინგლისური ენა - C1 დონე (მეტყველება, წერა). |
| კომპეტენციები და უნარები |
| • დაგეგმვისა და მართვის უნარი;<br>• ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;<br>• მოლაპარაკების წარმოების უნარი;<br>• დროის ეფექტურად მართვის უნარი;<br>• გამართული ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;<br>• ორგანიზებულობა;<br>• მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;<br>• გუნდური მუშაობის უნარი და კოლეგიალურობა;<br>• მაღალი სამუშაო აქტივობასთან დაკავშირებული სტრესისადმი მდგრადობა;<br>• სიახლეებისა და ცვლილებების ინიცირებისა და პროფესიულ საქმიანობაში დანერგვის უნარი. |

[4] შიდა სტრუქტურული ერთეულები ან/და ფაკულტეტები; გარე ორგანიზაციები;

[5] ვისთან წარადგენს;

| |
|---|
| სამართლებრივი აქტები: |
| <u>სამუშაოზე მიღებისას მოთხოვნილი აქტები:</u> |
| • საქართველოს შრომის კოდექსი;<br>• საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";<br>• უნივერსიტეტის მისია;<br>• უნივერსიტეტის სტრუქტურა,<br>• თავისი სამუშაო აღწერილობა. |
| <u>სამუშაოზე ადაპტაციის შემდგომ მოთხოვნილი აქტები:</u> |
| |

თათია დოლიძე, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი:

ხელმოწერა ____________

7.06.2021